



იურისტების საფარო

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია

რამაზ კვარაცხელია

**ყაჩაღობის კვალიფიკაციის
და
გამოძიების პრობლემები**
(საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი
და კომენტარი)

თბილისი, 2014

გამომცემლობა „იურისტების საფარო“



ნაშრომი წარმოადგენს ყაჩაღობის კვალიფიკაციის პრობლემების განხილვისა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობის გაანალიზების შედეგს.

მასში განხილულია ყაჩაღობის გამოძიების მეთოდოლოგია და ტაქტიკა, გამოყენებულია პრაქტიკული მაგალითები.

ნაშრომი განკუთვნილია შინაგან საქმეთა, პროკურატურის, სასამართლოს მუშაკების, უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის. ის ასევე ხელს შეუწყობს ყაჩაღობის სისხლისსამართლებრივი დახასიათებით და გამოძიების მეთოდოლოგიით დაინტერესებულ ყველა პირს.

რედაქტორები:

ოთარ გამყრელიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

ფრიდონ დიასამიძე,

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი,
შინაგან საქმეთა სამინისტროს
აკადემიის პრორექტორი

რეცენზენტები:

გელა აბესაძე,

სამართლის დოქტორი, პოლიციის
პოლკოვნიკი, შინაგან საქმეთა
სამინისტროს ანტიკორუფციული
სააგენტოს (დეპარტამენტი) I
მთავარი სამმართველოს უფროსი

დავით ხობელია,

სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

იოსებ ვარძელაშვილი,

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო
ეთიკის სამმართველოს უფროსი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის დოქტორანტი

© გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2014.

ISBN 978-9941-0-6479-1



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34

E-mail: Lawyers.world@yahoo.com;

<https://www.facebook.com/PublishingHouseLawyersWorld>

სარჩევი

რედაქტორისგან	7
შესავალი	9
ნაწილი პირველი	
ყაჩაღობის სისხლისსამართლებრივი დახასიათება და მისი კვალიფიკაცია	

თავი I. ყაჩაღობის ისტორიული მიმოხილვა. ყაჩაღობის ცნება საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით	12
--	-----------

§1. ყაჩაღობა ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით	12
--	----

§2. სისხლის სამართლის კოდექსებში ყაჩაღობის დისპოზიციის განვითარების ეტაპები	15
---	----

§3. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში ყაჩაღობის ცნების მიმოხილვა	17
---	----

თავი II. ყაჩაღობის ზოგადი შემადგენლობა	22
---	-----------

§1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა	22
---	----

ა). თავდასხმის ცნება	22
----------------------------	----

ბ). სამართლებრივი სიკეთე	29
--------------------------------	----

გ). დაუფლების ცნება	37
---------------------------	----

დ). ფსიქიკური ძალადობის ცნება	42
-------------------------------------	----

ე). ფიზიკური ძალადობის ცნება	57
------------------------------------	----

§2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა	63
--	----

ა). განზრახვა	63
---------------------	----

ბ). სპეციალური განზრახვა	86
--------------------------------	----

გ). შეცდომა	87
-------------------	----

დ). დაზარალებულის შეცდენა	88
---------------------------------	----

ე). ქმედების შემადგენლობის ნორმატიული ნიშანი	88
--	----

თავი III. ქმედების კვალიფიკაციის სპეციალური საკითხები .90	
--	--

§1. დანაშაულთა ერთობლიობა	90
---------------------------------	----

ა). ყაჩაღობის დროს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების კვალიფიკაცია;	91
---	----

ბ). ყაჩაღობის დროს ჯანმრთელობის დაზიანების კვალიფიკაცია;	91
--	----

გ). ყაჩაღური თავდასხმის დროს ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაცია;	98
დ). ყაჩაღური თავდასხმის გზით განსაკუთრებული ღირებულების ნივთების დაუფლება და მისი კვალიფიკაცია	112
§2. დაუმთავრებელი დანაშაული	119
ა). ყაჩაღობის მომზადება და მისი მცდელობის პრობლემა	119
თავი IV. ყაჩაღობის ამსრულებლობა და ყაჩაღობაში თანამონაწილეობა	129
§1. თანამონაწილეობის ცნება	129
§2. ამსრულებელი (შუალობითი ამსრულებელი)	135
§3. ორგანიზატორი	146
§4. ნამქეზებელი	150
§5. დამხმარე	153
თავი V. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი. ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი	163
§1. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი	163
ა). ყაჩაღური თავდასხმის მართლწინააღმდეგობა (უმართლობა);	163
ბ). ჩადენილი თავდასხმის უმართლობის ხარისხის დადგენის კრიტერიუმები;	163
გ). აუცილებელი მოგერიების უფლების წარმოშობა;	164
§2. ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი	171
ა). ყაჩაღური უმართლობის შერაცხვა, როგორც ყაჩაღობისათვის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი საფუძველი;	171
ბ). ბრალის შერაცხვის საფუძველები;	171
გ) ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებები	173
თავი VI. ყაჩაღობის სპეციალური ნორმები	180
§1. ყაჩაღობის დამატებითი მაკვალიფიცირებელი ნიშნების ზოგადი დახასიათება	180
§2. სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ყაჩაღობის სპეციალური ნორმები	182

ა). ყაჩაღობა ჩადენილი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით	182
ბ). ყაჩაღობა ჩადენილი ჯგუფურად	185
გ). ყაჩაღობა ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების ნინააღმდეგ	191
§3. სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული ყაჩაღობის სპეციალური ნორმები	193
ა) ყაჩაღობა ჩადენილი არაერთგზის;	193
ბ). ყაჩაღობა ჩადენილი ბინაში უკანონო შეღწევით;	195
გ). ყაჩაღობა ჩადენილი დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით	196
§4. სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული ყაჩაღობის სპეციალური ნორმები	197
ა). ყაჩაღობა ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;	197
ბ). ყაჩაღობა ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვე სხვისი ნივთის მისაკუთრების ან გამოძალვისათვის	199
თავი VII. ყაჩაღობის შემადგენლობის მსგავსი დელიქტების მიმოხილვა	201
§1. ბანდიტიზმისაგან ყაჩაღობის გამიჯვნის პრობლემა	201
§2. ძარცვის სისხლისსამართლებრივი დახასიათება	202
§3. გამოძალვის სისხლისსამართლებრივი დახასიათება	210

ნაწილი მეორე

ყაჩაღობის გამოძიების მეთოდოლოგია და ტაქტიკა

თავი I. ყაჩაღობის ფაქტზე დასადგენი გარემოებები	212
§ 1. ყაჩაღობის კრიმინალისტიკური დახასიათება	212
§2. ყაჩაღობის გამოძიებისას დასადგენი გარემოებები და მათი დადგენის ხერხები.	222
თავი II. ყაჩაღობის გამოძიების მიმართულება საგამოძიებო სიტუაციებში და ვერსიების აგება	227
§1. საგამოძიებო სიტუაციის ცნება და ზოგადი დახასიათება	227

§2. ყაჩაღობის ფაქტზე არსებული საგამოძიებო სიტუაციები	229
§3. ყაჩაღობის ფაქტზე არსებული საგამოძიებო სიტუაციების შესაბამისი საგამოძიებო ვერსიები	230
§4. ყაჩაღობის ფაქტზე არსებული ვერსიების შემონმების მიზნით გასატარებელი დეტალური გეგმები და ტაქტიკური ოპერაციები	234
თავი III. ყაჩაღობის საქმეზე საგამოძიებო მოქმედებათა წარმოების ტაქტიკის თავისებურებანი	245
§1. ყაჩაღობის საქმეზე საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკა	245
ა). შემთხვევის ადგილის დათვალიერების ცნება და ზოგადი დახასიათება	245
ბ). ყაჩაღური თავდასხმის ადგილის დათვალიერების ტაქტიკის თავისებურებანი	250
გ). დაზარალებულის დაკითხვა	261
დ). მონმეთა დაკითხვა	265
ე). დაზარალებულის ტანსაცმლის დათვალიერება და დაზარალებულის შემონმება	266
ვ). ბრალდებულის დაკითხვის ტაქტიკური ხერხები	272
ზ). საგამოძიებო ექსპერიმენტი	277
დასკვნა	281
გამოყენებული ლიტერატურა	305

რედაქტორისგან

თქვენს ხელთ არსებული მონოგრაფია წარმოადგენს ავტორის მიერ რამდენიმე წლიანი ნაყოფიერი სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის შედეგს, სადაც განხილულია საქართველოში უძველესი დროიდან ცნობილი და საკმაოდ გავრცელებული დანაშაულის „ყაჩაღობის“ სისხლისსამართლებრივი ბუნება და აღნიშნული დანაშაულის გამოძიების დროს არსებული ტაქტიკური და მეთოდოლოგიური პრობლემები.

წარმოდგენილი ნაშრომის ავტორმა ყაჩაღობის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის კვლევას სადოქტორო დისერტაცია მიუძღვნა. თუმცა დისერტაცია მხოლოდ სისხლის სამართლის მეცნიერებაში არსებული თეორიული პრობლემის გადაჭრის მცდელობით შემოიფარგლა, რაც პრაქტიკაში ყაჩაღობასთან ბრძოლის რეალური პრობლემის გადაჭრის პანაცეა ვერ იქნება.

სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ყაჩაღობის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ბუნება და შესაბამისად მისი გამოძიების პრობლემა დღესაც აქტუალურია. თანაც ქართული რეალობის გათვალისწინებით, აღნიშნული პრობლემის კომპლექსური კვლევა დღემდე არ ჩატარებულა, რაც საფუძველი გახდა კვლევის ჩატარების და შესაბამისად წარმოდგენილი ნაშრომის შექმნისა. ავტორი წლების განმავლობაში ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას, კითხულობს ლექციებს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში სისხლის სამართლის მიმართულებით, ასევე გააჩნია გამოძიების მიმართულებით პრაქტიკული გამოცდილება.

ნაშრომის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ მასში გადმოცემულია არა მხოლოდ ყაჩაღობის კვალიფიკაციის თეორიული პრობლემა, არამედ მისი გამოძიების რეალიზაციის ფორმები და მეთოდები.

წარმოდგენილი ნაშრომი მომზადდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, სადაც ავტორი უძღვება თეორიულ და პრაქტიკულ ლექციებს სისხლის სამართლის დანაშაულთა კვალიფიკაციაში, გამოძიების ტაქტიკასა და მეთოდოლოგიაში.

ყაჩაღობა მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, რომელიც შესაბამისად ითვალისწინებს სასჯელის

მკაცრ ფორმას, ამიტომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის დროს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ კვალიფიკაციას, რამეთუ გამოძიებაში დაუსაბუთებელმა მიდგომამ შეიძლება სავალალო შედეგამდე მიგვიყვანოს და რამდენიმე წლით უკანონოდ აღფუკვეთოთ თავისუფლება ამ შემთხვევაში „უდანაშაულო“, ყაჩაღობის არ ჩამდენ პირს.

წარმოდგენილი ნაშრომი თეორიული მცდელობაა „ყაჩაღობასთან ბრძოლისა“, რაც გამოიხატება სამართალდამცავი ორგანოების მიერ სწორად დაგეგმილ და განხორციელებულ ოპერატიულ და საგამოძიებო მოქმედებებში და ასახვას ჰპოვებს ყაჩაღობის ზუსტად დაკვალიფიციერებაში.

მონოგრაფიის მნიშვნელოვან ღირებულებას ხაზს უსვამს ის გარემოება, რომ იგი შესრულებულია კარგი სალიტერატურო ქართულით, რაც აადვილებს გადმოცემული სამართლებრივი პრობლემის არსის გააზრებას. ვფიქრობთ, აღნიშნული გაუადვილებს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, თეორიტიკოს მკვლევარებს და პრაქტიკოს მუშაკებს სწორად ჩანვდნენ ყაჩაღობის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არსს და ადექვატურად განახორციელონ ყაჩაღობის საქმეზე დასადგენი გარემოებები, გასატარებელი ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებები, რაც აუცილებელია საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად.

წინამდებარე ნაშრომი დროული მცდელობაა, მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს პრაქტიკოსებს ყაჩაღობის გამოძიების დროს განსახორციელებელი ოპერატიულ - საგამოძიებო მოქმედებების სწორად დაგეგმვასა და განხორციელებაში, რომელიც საბოლოოდ სამართლიან შედეგზე აისახება.

წარმოდგენილი ნაშრომი შედგება ორი ნაწილისგან. პირველ ნაწილში გადმოცემულია ყაჩაღობა და მისი მსგავსი დანაშაულებრივი ქმედებების განსაზღვრის პრობლემა, ხოლო მეორე ნაწილი მოიცავს ყაჩაღობის გამოძიების ტაქტიკას და მეთოდოლოგიას.

და ბოლოს, მაღლიერებით მინდა ავლნიშნო, რომ წინამდებარე ნაშრომი მნიშვნელოვანი შენაძენია სისხლისსამართლებრივი ლიტერატურით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

*საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
აკადემიის პრორექტორი,
პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი
ფრიდონ დიასამიძე*

შესავალი

ნაშრომი წარმოადგენს ყაჩაღობის კვალიფიკაციის, გამოძიების პრობლემების განხილვისა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობის განაალიზების შედეგს, მასში ასახვა ჰპოვა სისხლის სამართლისა და გამოძიების მეთოდის ტრადიციულმა პრობლემამ, რომელიც დღესაც მეტად აქტუალურია.

მიუხედავად იმისა, რომ ყაჩაღობის კვალიფიკაციის პრობლემებზე 2010 წელს გამოიცა ჩემი სადოქტორო დისერტაცია „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყაჩაღობისათვის“, რომელშიც დეტალურად იყო განხილული ყაჩაღობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები, აუცილებელი გახდა რამდენიმე ძირეული საკითხის უფრო საფუძვლიანად და კომპლექსურად განხილვა. ამიტომ წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ პრობლემის კომპლექსურ შესანავლას, როგორც სისხლისსამართლებრივ, ასევე ოპერატიულ-სამძებრო და გამოძიების წარმოების ტაქტიკის კუთხით.

ნაშრომის პირველ ნაწილში მოცემულია ყაჩაღური თავდასხმის, სხვისი ნივთის დაუფლებისა და მისაკუთრების ცნებები. განხილულია ფსიქიკური ძალადობისა და უვარგისი იარაღით თავდასხმის კვალიფიკაციის პრობლემები, ფიზიკური ძალადობა, ყაჩაღობის მომზადებისა და მცდელობის პრობლემა, ანგარეზითი მკვლელობისა და ყაჩაღური თავდასხმის დროს ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაციის პრობლემები და ყაჩაღობის ყველა მაკვალიფიცირებელი ნიშანი.

წიგნის მეორე ნაწილი ეხება ყაჩაღობის გამოძიების მეთოდისა და ტაქტიკას, რომელიც სამი თავისგან შედგება.

პირველი თავი ეთმობა ყაჩაღობის ფაქტზე დასადგენ გარემოებებს, რომელშიც შედის: ყაჩაღური თავდასხმის კრიმინალისტიკური დახასიათება, ყაჩაღობის გამოძიებისას დასადგენი გარემოებები და მათი დადგენის ხერხები. ამ საკითხების კვლევა მიზანშეწონილად ჩავთვალეთ იმდენად, რამდენადაც ყაჩაღობის გამოძიების პროცესში საჭიროა და აუცილებელია განისაზღვროს იმ დასადგენ გარემოებათა წრე, რომლებსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ყაჩაღური თავდასხმის გახსნისა და მისი სწორად კვალიფიკაციისათვის.

ყაჩაღური თავდასხმის საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული. ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს ბრალდებულის, როგორც მამხილებელი ისე გამამართლებელი, აგრეთვე მისი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი.

გამოძიების მიმდინარეობისას გულდასმით უნდა შემოწმდეს ბრალდებულისა და დამცველის ყველა განცხადება და საჩივარი უდანაშაულობის და ნაკლები ბრალის, დანაშაულში სხვა პირთა მონაწილეობის, დანაშაულის გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროს კანონიერების სხვა დარღვევის თაობაზე. თუ არ დადგინდა ფაქტიურად ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ასევე მისი ყველა გარემოება, თუ არ გვექნება მისი კრიმინალისტიკური დახასიათება, მაშინ ფაქტიურად ჩადენილი ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის ნორმებთან შესაბამისობის დადგენაზე ლაპარაკი ზედმეტია.

მეორე ნაწილის მეორე თავში განხილულია ყაჩაღობის გამოძიების მიმართულება საგამოძიებო სიტუაციებში და ვერსიების აგების საკითხი, სადაც დეტალურადაა გამოკვლეული საგამოძიებო სიტუაციის ცნება და ზოგადი დახასიათება, ყაჩაღობის ფაქტზე არსებული საგამოძიებო სიტუაციები და მისი შესაბამისი საგამოძიებო ვერსიები და ყაჩაღობის ფაქტზე არსებული ვერსიების შემოწმების მიზნით გასატარებელი დეტალური გეგმები და ტაქტიკური ოპერაციები.

დანაშაულის გამოძიების მეთოდის სტრუქტურაში მნიშვნელოვანია საგამოძიებო სიტუაციისა და საგამოძიებო ვერსიების ცნების საკითხის განხილვა. ჩვენი აზრით, საგამოძიებო სიტუაციის შეფასებისას გამოყენებულ უნდა იქნეს მტკიცებულებების საფუძველზე არსებული ინფორმაცია, რაც მოგვცემს სიტუაციის ობიექტურად შეფასების საშუალებას. ამასთან, გამოძიებლის მიერ შემუშავებული ვერსიები არ შეიძლება საფუძველად დაედოს საგამოძიებო სიტუაციის შეფასებას, რადგან ის ჯერ კიდევ არაფერს არ ნიშნავს, ამიტომ მიგვაჩნია, რომ საგამოძიებო სიტუაციის შესწავლა და ამ კუთხით ნაშრომში ყურადღების გამახვილება ძალიან მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება, ყაჩაღობის ფაქტზე არსებული ვერსიების შემოწმების მიზნით გასატარებელ დეტალურ გეგმებს და ტაქტი-

კურ ოპერაციებს, უნდა აღინიშნოს, რომ ვერსიების შემოწმების მიზნით ნაშრომში შემუშავებულია გამოძიების დეტალური გეგმები ვინაიდან გამოძიების ყველაზე ოპტიმალური ხერხია: ტაქტიკური ოპერაციების, ან მათი კომპლექსის თანმიმდევრულად ან პარალელურად გატარება.

მესამე თავში კი ყურადღება გამახვილებულია, ყაჩაღობის საქმეზე საგამოძიებო მოქმედებათა ნარმოების ტაქტიკის თავისებურებებზე, სადაც კომპლექსურადაა გადმოცემული ყაჩაღობის საქმეზე ღია საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკა, კერძოდ: ყაჩაღური თავდასხმის ადგილის დათვალიერების ტაქტიკის თავისებურებანი, დაზარალებულის, მონმის, ბრალდებულის დაკითხვის, დაზარალებულის ტანსაცმლის დათვალიერების და დაზარალებულის შემოწმების და საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ტაქტიკური ხერხები.

წინამდებარე ნაშრომი კიდევ ერთი ცდაა ყაჩაღობის კვალიფიკაციისა და გამოძიების კომპლექსურ ფორმატში კვლევის, რომელიც ხელს შეუწყობს ყაჩაღობის სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური დახასიათებით დაინტერესებულ ყველა პირს თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაში.

წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის მიზანია იურიდიული, ფსიქოლოგიური, სხვა გამოყენებული ლიტერატურის, საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის გაანალიზების შედეგად ჩამოაყალიბოს ყაჩაღობის სწორი კვალიფიკაციისა და გამოძიების ორიგინალური გზები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის
სამაგისტრო სკოლის უფროსის მოადგილე,
პროფესორი, სამართლის დოქტორი

რამაზ კვარაცხელია